ოკეანეები

მაია ბლიაძე

www.VETTON.ru

რამდენი ოკეანეა დედამიწაზე?

ოკეანის საზღვრები და მოხაზულობა ხანგრძლივი დროის განმავლობაში დედამიწის ქერქის გეოლოგიური აგებულებისა და განვითარების ისტორიის შესაბამისად ყალიბდებოდა.

კონტინენტები და დიდი არქიპელაგები მსოფლიო ოკენეს 5 ოკეანედ ყოფენ:

- წყნარი ოკეანე;
- ატლანტის ოკეანე;
- ინდოეთის ოკეანე
- ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე
- სამხრეთის ოკეანე

www.VETTON.ru

წყნარი ოკეანე

დედამიწის უდიდესი და უღრმესი ოკეანე.

ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანისაგან გამოყოფილია ბერინგის სრუტით; ინდოეთის ოკეანესთან საზღვარი გადის მალაკის სრუტის ჩრდილო კიდეზე, გაუყვება კუნძულ სუმატრის დასავლეთ ნაპირს, კუნძულების იავის, ტიმორისა და ახალი გვინეის სამხრეთ ნაპირებს, ავსტრალიისა და კუნძულ ტასმანიის აღმოსავლეთ ნაპირს და წყალქვეშა შემაღლებით გამოიყოფა სამხრეთის ოკეანესგან. ატლანტის ოკეანესთან საზღვარი გადის სენტ-ჩარლზის კონცხიდან ცეცხლოვან მიწამდე.

პირველად იგი ფერნანდო მაგელანმა გადაკვეთა 1519 წელს.

წყნარი ოკეანე

- წყნარი ოკეანე ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ დააახლოებით 15,8 ათას კილომეტრზე, ხოლო აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ 19,5 ათას კილომეტრზეა გადაჭიმული.
- ოკეანის ფართობი ზღვებთან ერთად — 179,684 მლნ. კმ²-ია, საშუალო სიღრმე — 3984 მ, ხოლო მაქსიმალური სიღრმე 10 994 მ აღწევს და მარიანას ღარშია დაფიქსირებული.

წყნარი ოკეანე

- წყნარი ოკეანის ფართობი თითქმის 30 მლნ. კმ^2-ით აღემატება მსოფლიო ხმელეთის საერთო ფართობს. წყნარი ოკეანე მოქცეულია ყველა ნახევარსფეროში.
- წყნარი ოკეანის გავლით დაახლოებით 180-ე მერიდიანზე გადის თარიღის ცვლის ხაზი.
- სანაპირო ხაზი ძლიერ არის დანაწევრებული დასავლეთით და გასწორებულია ამერიკის სანაპიროებთან.
- ყველაზე მეტად, 19,5 ათ. კილომეტრზე, გადაჭიმულია ეკვატორულ-ტროპიკულ სარტყელში, რაც განაპირობებს მისი,როგორც მზის ენერგიის გიგანტური აკუმულატორის როლს დედამიწაზე.
- ეკვატორი წყნარ ოკეანეს ყოფს ჩრდილოეთ წყნარ ოკეანედ და სამხრეთ წყნარ ოკეანედ.

წყნარი ოკეანე

- წყნარი ოკეანის დამახასიათებელი თავისებურება სხვა ოკეანეებთან შედარებით მრავალრიცხოვანი კუნძულების არსებობაა, განსაკუთრებით მის ცენტრალურ და დასავლეთ ნაწილში.
- სულ წყნარ ოკეანეში დაახლოებით 10 ათასი კუნძულია, რომელთა საერთო ფართობია 1,26 მლნ. კმ².

www.VETTON.ru

წყნარი ოკეანე

- მართალია, აზიისა და ოკეანეთის ხალხი წყნარ ოკეანეში ისტორიამდელი ეპოქიდან მოყოლებული მოგზაურობდა, თუმცაღა წყნარი ოკეანის აღმოსავლეთი ნაწილი პირველად ევროპელებმა შეამჩნიეს XVI საუკუნის დასაწყისში, როდესაც ესპანელმა მოგზაურმა ვასკო ნუნიეს დე ბალბოამ გადაკვეთა პანამის ყელი 1513 წელს და აღმოაჩინა დიდი „სამხრეთის ზღვა“, რომელსაც ესპანურად „Mar del Sur “ უწოდა.
- ოკეანის ამჟამინდელი სახელწოდება პორტუგალიელმა მოგზაურმა ფერნანდო მაგელანმა დაამკვიდრა, დედამიწის ირგვლივ მოგზაურობისას 1519=1521 წლებში, როდესაც წააწყდა ოკეანისკენ მიმავალ ხელსაყრელ ქარებს. მან ოკეანეს უწოდა „Mar Pacífico “, რომელიც პორტუგალიურ და ესპანურ ენებზე აღნიშნავს „წყნარ ზღვას“.

ორგანული სამყარო

ატლანტის ოკეანე

სიდიდით მეორე ოკეანეა დედამიწაზე.
ჩრდილოეთიდან სამხრეთისაკენ თითქმის 15 ათას კმ-ზეა გადაჭიმული;
მინიმალური სიგანე დაახლოებით 2830 კმ, მაქსიმალური - 6700 კმ (ჩრდილო განედის 30° პარალელზე).
ატლანტის ოკეანის ფართობი ზღვებთან, ყურეებთან და სრუტეებთან ერთად 91,66 მლნ კმ²-ია, მათ გარეშე 76,97 მლნ კმ².
წყლის მოცულობა 329,66 მლნ. კმ³-ია, ზღვების, ყურეებისა და სრუტეების გარეშე 300,19 მლნ. კმ³.
საშუალო სიღრმე 3597 მ-ია, მაქსიმალური სიღრმე 8742 მ.
საშუალო მარილიანობა 34—37,3 ‰.

ატლანტის ოკეანე

ზოგიერთ სამეცნიერო ნაშრომში ატლანტის ოკეანე დაყოფილია ჩრდილოეთ და სამხრეთ ატლანტის ოკეანეებად, თუმცა უფრო მიღებულია მისი წარმოდგენა როგორც ერთი მთლიანი ოკეანის.

ოკეანის თანამედროვე სახელწოდება პირველად 1507 წელს კარტოგრაფ მარტინ ვალდზეემიულერის რუკაზე გაჩნდა. ოკეანეს სახელი ბერძნული მითოლოგიის ტიტანის „ატლანტის“ მიხედვით ეწოდა.

- ოკეანეში ერთადერთი ზღვა, რომელსაც არ აქვს მყარი ნაპირები და შემოზღუდულია დინებებით, სარგასის ზღვაა;

ატლანტის ოკეანე

- ფანდის ყურეში ფიქსირდება ყველაზე დიდი მოქცევა;.
- ატლანტის ოკეანე ოკეანეთა შორის ბიოლოგიურად ყველაზე უფრო პროდუქტიულია.
- მასში ყველაზე ვრცელი წყალქვეშა ოკეანური შუაატლანტიკური ქედი მდებარეობს.
- ატლანტის ოკეანის აუზს განეკუთვნება შავი ზღვა თავისი უნიკალური გოგირდწყალბადიანი ფენით.

ორგანული სამყარო

ARLANDA.LIVEJOURNAL.COM

ინდოეთის ოკეანე

სიდიდით მესამე ოკეანეა მსოფლიოში, რომელიც დედამიწის ზედაპირის დაახლოებით 20%-ს ფარავს.

ატლანტის ოკეანისგან აღმოსავლეთის 20° -იანი მერიდიანი ყოფს, რომელიც აგულას კონცხიდან სამხრეთით მიემართება, ხოლო წყნარი ოკეანისგან აღმოსავლეთის 147° -იანი მერიდიანითაა გამოყოფილი.

ინდოეთის ოკეანის ყველაზე ჩრდილოეთი წერტილი სპარსეთის ყურეში დაახლოებით ჩრდილოეთ 30° -იან განედზეა.

ინდოეთის ოკეანე

- ინდოეთის ოკეანის მაქსიმალური სიგანე თითქმის 10.000 კმ-ია აფრიკის სამხრეთ წერტილსა და ავსტრალიას შორის;
- ოკეანის ფართობი 74.4 მლნ კმ^2-ია, წითელი ზღვისა და სპარსეთის ყურის ჩათვლით, ხოლო ოკეანის წყლის მოცულობა დაახლოებით 292,131,000 კმ^3.
- საშუალო სიღრმე 3 967 მ-ია, ხოლო ყველაზე ღრმა ადგილი 7729 მ (ზონდის ანუ იავის ღარი).

ინდოეთის ოკეანე

- ოკეანის წყლის საშუალო მარილიანობა 30 ‰-დან 37 ‰-მდე იცვლება.
- კუნძულები, ძირითადად, გარშემო მდებარე კონტინენტების სიახლოვესაა განლაგებული.
- ინდოეთის ოკეანის სამხრეთ ნაწილში ბევრი აისბერგი დაცურავს. განსაკუთრებით დიდი აისბერგები ს. გ. 40°-მდეც აღწევენ, რაც წყლის ტემპერატურაზე და მარილიანობაზე ახდენს გავლენას.

ორგანული სამყარო




КАЛИТВА.РУ

ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე

- მსოფლიოს ხუთი ოკეანიდან უმცირესია სიდიდითა და სიღრმით.
- მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო ჰიდროგრაფიული ორგანიზაცია მას ოკეანედ ცნობს, ოკეანოგრაფები მას არქტიკის ხმელთაშუა ზღვას, შემოკლებით არქტიკის ზღვას უწოდებენ და ატლანტის ერთ-ერთ ხმელთაშუა ზღვად განიხილავენ.

ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე

- ოკეანე მთლიანად ჩრდილოეთ ნახევარსფეროში მდებარეობს.
- ოკეანის ზედაპირის უდიდესი ნაწილი ყინულით არის დაფარული წლის ყველაზე ცივ თვეებში ან მთელი წლის განმავლობაში.
- ოკეანეში ბევრი აისბერგია, რომლებიც 6 წელზე მეტი ხნის განმავლობაში დრეიფობენ.

ჩრდილოეთ ყინულოვანი ოკეანე

- ოკეანის ფართობი: 14,75 მლნ კვ. კმ-ია;
- საშუალო სიღრმე: 1225 მ, ხოლო მაქსიმალური სიღრმეა 5527 მ (გრენლანდიის ზღვა).
- წყლის საშუალო მარილიანობა - 30 ‰.
- კუნძულების რაოდენობით ჩრდილოეთის ყინულოვანი ოკეანე მეორე ადგილს იკავებს წყნარი ოკეანის შემდეგ.

ორგანული სამყარო

სამხრეთის ოკეანე
(ანტარქტიკის ოკეანე)

ოკეანე გარს აკრავს ანტარქტიდას და სიდიდით მეოთხე ოკეანეა. ოკეანის ფართობია 20327000 კმ². ყველაზე ღრმა ადგილია სამხრეთ სანდვიჩის ღრმული - 7235 მ.

სამხრეთის ოკეანე (ანტარქტიკის ოკეანე)

- ოკეანის საზღვრები ყველაზე გვიან განისაზღვრა და ოკეანედ მსოფლიო ჰიდროგრაფიულმა ორგანიზაციამ (მჰო) ოფიციალურად მხოლოდ 2000 წელს ცნო.

- სამხრეთის ოკეანეს მხოლოდ სამხრეთ ამერიკასთან აქვს სრუტე, წყნარი და ატლანტის ოკეანეებისგან გამოყოფილია მე-60 პარალელით და მის სამხრეთით მდებარე ნაწილს წარმოადგენს.